



# EHRAC-ის სახელმძღვანელო

## ხშირად დასმული კითხვები

.....  
საჩივრის წარდგენა ადამიანის უფლებათა ევროპულ  
სასამართლოში



Middlesex  
University  
London

# შინაარსი

|  |           |
|--|-----------|
| <b>I. მტკიცებულება</b>   | <b>3</b>  |
| რა სახის მტკიცებულება მჭირდება სასამართლოში საჩივრის წარსადგენად?  | 3         |
| <b>II. დროებითი ღონისძიებები</b>   | <b>3</b>  |
| როდის უნდა მოვითხოვოთ დროებითი ღონისძიებები?   | 3         |
| როგორ უნდა მოვითხოვო დროებითი ღონისძიება?  | 4         |
| <b>III. საჩივრის მომზადება</b>   | <b>4</b>  |
| რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საჩივარი?  | 4         |
| როგორ მოვამზადო ფაქტების სექცია (საჩივრის ფორმის E სექცია)?  | 5         |
| როგორ უნდა მოვამზადო სავარაუდო დარღვევების შესახებ სექცია (სექცია F)?  | 5         |
| როგორ უნდა მოვამზადო დასაშვებობის შესახებ სექცია (სექცია G)?   | 6         |
| როგორ დავამტკიცო ეროვნულ დონეზე არსებული დაცვის საშუალებების არაეფექტურობა ან ხელმიუწვდომლობა?   | 6         |
| რა განსხვავებაა დანართებსა და დამატებით გვერდებს შორის?  | 7         |
| <b>IV. სხვა პრაქტიკული ინფორმაცია სამართალწარმოების საწყისი ეტაპის შესახებ</b>   | <b>8</b>  |
| როგორ მოვიქცე, თუ საქმეში რამოდენიმე მომჩივანია?   | 8         |
| რა წესები ვრცელდება წარმომადგენლებზე?  | 8         |
| ვინ უნდა მოაწეროს ხელი საჩივარს (საჩივრის ფორმის მე-13 გვერდი)?  | 8         |
| როგორ მოვითხოვო საქმის დაჩქარებული წესით განხილვა, სასამართლო რეგლამენტის მე-40 მუხლის თანახმად ან საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება, ამავე რეგლამენტის 41-ე მუხლის თანახმად? | 9         |
| როგორ უნდა მოვითხოვო კონფიდენციალურობის დაცვა?   | 9         |
| როგორ უნდა გავაგზავნო საჩივარი?  | 9         |
| რა ხდება საჩივრის წარდგენის შემდგომ?   | 9         |
| როგორ დავუკავშირდე სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ ჩემი საქმის შესახებ მაქვს კითხვა?  | 10        |
| შესაძლებელია მოვითხოვო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გადაწევა?   | 10        |
| რას გულისხმობს ხელისშემკვრელი მხარის მოვალეობა, არ დააბრკოლოს ინდივიდუალური საჩივრის უფლება?   | 10        |
| როდის და რის შესახებ უნდა მივანოდო სასამართლოს განახლებული ინფორმაცია?   | 10        |
| როგორ მოვითხოვო სამართლიანი დაკმაყოფილება?   | 11        |
| <b>V. როგორ ხდება საჩივრის წარმოება?</b>   | <b>11</b> |
| როგორ ხდება საქმეების განაწილება სასამართლოს სხვადასხვა ფორმაციებს შორის?  | 11        |
| რა ხდება მოპასუხე მთავრობისთვის საქმის კომუნიცირების შემდგომ?  | 12        |
| რა შემთხვევაში შეიძლება ვთქვა უარი, დავთანხმდე ან შევთავაზო მეგობრული მორიგება?  | 13        |
| შესაძლებელია, რომ სასამართლო მოახდინოს გადანყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გასწორება?  | 13        |
| რა შემთხვევაში შეიძლება მოვითხოვო საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა?  | 14        |
| როგორ მოვამზადო და წარვადგინო ზეპირი არგუმენტები?  | 14        |

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (შემდგომში „ECtHR“ ან „ევროპული სასამართლო“) მომზადებული აქვს არაერთი სასარგებლო მასალა სასამართლოში საჩივრის წარდგენის სხვადასხვა ასპექტებზე. თუმცა, როდესაც სასამართლოში საჩივარი პირველად შეგვაქვს ან ახალ პრობლემას ვაწყდებით, ზოგჯერ, კონკრეტულ კითხვებზე პასუხის მოძებნა რთულია. EHRAC-ის წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, დაეხმაროს იურისტებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების პროცესში. ამ მიზნით, სახელმძღვანელო პასუხობს ყველაზე ხშირად დასმული კითხვებს ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ, თუმცა იგი არ მოიცავს სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს. სასამართლოს იურისპრუდენციის შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, გაეცნოთ ECtHR-ის სახელმძღვანელოს საქმის დასაშვებობის შესახებ და თემატურ ფაქტობრივ მონაცემებს.

# I. მტკიცებულება

## რა სახის მტკიცებულება მჭირდება სასამართლოში საჩივრის წარსადგენად?

საერთოორისო ტრიბუნალში საქმის წარსადგენად აუცილებელია შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვება, რომელიც თქვენს საქმეს გაამყარებს. თქვენ არ უნდა დაეყრდნოთ მხოლოდ სახელმწიფოს მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს მომჩივნის ახსნა-განმარტებას, რომელშიც იგი აღწერს მოვლენების მისეულ ვერსიას. ეს საჭიროა მაშინაც კი, თუ მომჩივანი გამოიკითხა სახელმწიფოს მიერ ან მის ახსნა-განმარტებას შეიცავს ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან აღნიშნული, შესაძლოა, არ შეიცავდეს მომჩივნის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას ან ყველა ფაქტორს, რომელიც რელევანტურია ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარსადგენად (მაგალითად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული მტკიცებულებები). ამასთან, თქვენ, სავარაუდოდ, დაგჭირდებათ ახსნა-განმარტებების აღება ნათესავებისგან, მეგობრებისგან, მეზობლებისგან და განვითარებული მოვლენებისა და მათი გავლენის მომსწრე სხვა მოწმეებისგან.

ახსნა-განმარტებების აღების პროცესში გაითვალისწინეთ, რომ მოწმემ მოვლენები ქრონოლოგიურად უნდა აღწეროს, წარმოადგინოს ყველა შესაბამისი დეტალი, მათ შორის, ინფორმაცია დროის, თარიღების და ადგილების შესახებ და ეს ყოველივე საკუთარი სიტყვებით უნდა აღწეროს. მოწმეს, შეგიძლიათ, დაეხმაროთ ისეთი ღია კითხვების დასმის გზით, როგორცაა: ‘რა მოხდა შემდგომ... მერე რა მოხდა... როგორ მოხდა... სად ... ვინ მონაწილეობდა... რამდენი ხანი გრძელდებოდა?’. თუ თქვენ ერთი და იგივე ფაქტების შესახებ ახდენთ მოწმეების გამოკითხვას, თითოეული მოწმის ახსნა-განმარტება ცალკე უნდა მოამზადოთ, მოწმის სიტყვების გამოყენებით, რათა ახსნა-განმარტებები არ ჟღერდეს ერთნაირად და მათი სანდოობა ეჭვქვეშ არ დადგეს. მოწმეთა ახსნა-განმარტებებში ფაქტობრივი გარემოებები წარმოდგენილი უნდა იყოს მოწმის აღქმის შესაბამისად და არ უნდა შეიცავდეს სამართლებრივ არგუმენტს. ECtHR-ი არ ადგენს კონკრეტულ წესებს მოწმის ახსნა-განმარტების ფორმატთან დაკავშირებით. დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ EHRAC-ის სახელმძღვანელო მოწმისგან ახსნა-განმარტების აღების შესახებ.

სხვა რელევანტური მტკიცებულება, შესაძლოა, ასევე, მოიცავდეს სამედიცინო მტკიცებულებას (ექიმის დასკვნა ან საავადმყოფოს ჩანაწერები), სხეულის დაზიანების ან ქონების დაზიანების ამსახველი ფოტოები, ვიდეო-მასალა, პოლიციის ოქმები, ეროვნული სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მედიაში გამოქვეყნებული მასალები, საერთაშორისო ანგარიშები ან ექსპერტი მოწმეების დასკვნები, რომელთაც მიეწოდათ ინსტრუქციები საქმის კონკრეტული ასპექტის შესახებ (იხ. EHRAC-ის სახელმძღვანელო ექსპერტი მოწმეებისათვის ინსტრუქციების მიწოდების შესახებ). ფოტო ან ვიდეო მტკიცებულების წარდგენისას, თუ ეს შესაძლებელია, მასალას თან უნდა დაერთოს ავტორის ახსნა-განმარტება, რომელიც, ავტორის შესახებ ინფორმაციის გარდა (სახელი, მისამართი, პროფესია), ასევე, შეიცავს მტკიცებულების შექმნის დროს, თარიღს და მიზანს. თუ ეს შეუძლებელია და ინტერნეტიდან მოპოვებული მტკიცებულების შემთხვევაში, ასეთი ახსნა-განმარტება უნდა წარმოადგინოს თავად ადვოკატმა და განმარტოს მასალის წარმომავლობა და რელევანტურობა.

# II. დროებითი ღონისძიებები

## როდის უნდა მოვითხოვოთ დროებითი ღონისძიებები?

სასამართლო რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეებს ან მათ იურიდიულ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ დროებითი ღონისძიებები, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება გამონაკლის შემთხვევებში, თუ მოსარჩელე დგას გამოუსწორებელი ზიანის რეალური საფრთხის წინაშე. სასამართლოს



ინტერპრეტაციის თანახმად, აღნიშნული, როგორც წესი, მოიაზრებს ფიზიკურ ზიანს, რომელიც განპირობებულია გაძევების ან ექსტრადაციის საფრთხით, ისევე, როგორც გარდაუვალი გამოსახლებით ან პატიმრისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების არ მიწოდებით. შესაბამისად, უნდა გვახსოვდეს, რომ დროებითი ღონისძიების მოთხოვნასთან დაკავშირებით მოქმედებს მალალო ზღვარი, ხოლო ასეთი მოთხოვნების უმეტესობა სასამართლოს მიერ უარყოფილი იქნება. ევროპული სასამართლოსთვის მიმართვამდე, მომჩივანი ვალდებულია, გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ეროვნულ დონეზე არსებული საშუალებები, რომელთაც სუსპენზიური ეფექტი აქვს. ამავდროულად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დროებითი ღონისძიების მოთხოვნა მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა იქნას წარდგენილი, რაც სასამართლოს გადაუდებელი ღონისძიებების დაწესების შესაძლებლობას მისცემს, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში. დროებითი ღონისძიებების განხილვა, როგორც წესი, ხდება სასამართლოს წინაშე მიმდინარე წარმოების ფარგლებში, თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის წარდგენა სასამართლოში საჩივრის შეტანის გარეშეც არის შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო თქვენ მოგმართავთ თხოვნით, რომ საჩივარი მოკლე ვადაში წარადგინოთ. ზოგიერთ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა დროებითი ღონისძიებების შესახებ, მან, შესაძლოა, მოპასუხე სახელმწიფოს გაუგზავნოს შეკითხვები და პრიორიტეტი მიანიჭოს საჩივარს - მაგალითად, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლი გარდაუვალი საფრთხის წინაშე დგას (რაც, მაგალითად, უკავშირდება ციხიდან მოძალადის განთავისუფლებას).

## როგორ უნდა მოვითხოვო დროებითი ღონისძიება?

დროებითი ღონისძიების მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს ამომწურავ და ამავდროულად, ლაკონურ არგუმენტებს. აღნიშნული უნდა მოიცავდეს, მათ შორის, იმ რისკის აღწერას, რომლის წინაშეც დგას მომჩივანი და კონვენციის იმ დებულებებზე მითითებას, რომელიც სავარაუდოდ დარღვეული იქნა. მოთხოვნას, როგორც წესი, თან ახლავს მომჩივნის ახსნა-განმარტება და სათანადო დოკუმენტური მტკიცებულება, მათ შორის, შესაბამისი ეროვნული სასამართლოს, ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ან სხვა გადაწყვეტილებები და ნებისმიერი სხვა მასალა, რომელიც ბრალდებების დასაბუთების მიზნით არის საჭირო. მომჩივანმა მკაფიოდ უნდა აღწეროს მოთხოვნილი ღონისძიებები. არ დაგავიწყდეთ საკონტაქტო ინფორმაციის მითითება ან წარმომადგენლობის უფლებამოსილების შესახებ ფორმის თანდართვა. მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, როგორც წესი, არ იქნება განხილული. სასამართლო რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე დროებითი ღონისძიებების შესახებ მოთხოვნის გაგზავნა უნდა მოხდეს ფაქსის საშუალებით ან ფოსტით, სასამართლოს მიერ მითითებულ მისამართზე. გადაწყვეტილების მიღება ხდება 24-დან 48 საათში. მომჩივნებმა, რომლებიც დროებითი ღონისძიებას ითხოვენ, სასამართლოს კორესპონდენციას სწრაფად უნდა უპასუხოთ და გარემოებების შეცვლის შესახებ სასამართლოს სწრაფად უნდა შეატყობინონ.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით სასამართლოს პრაქტიკის მითითებებსა და ფაქტობრივ მონაცემებს და EHRAC-ის სასწავლო მასალებს დროებითი ღონისძიებების შესახებ.

## III. საჩივრის მომზადება

### რა ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საჩივარი?

საჩივრის ფორმა ხელმისაწვდომია სასამართლოს ვებ-გვერდზე. მომჩივანი ვალდებულია, აღნიშნული ფორმა გამოიყენოს და შეავსოს სასამართლო რეგლამენტის 47-ე მუხლის შესაბამისად. საჩივრის ფორმის შევსებასთან დაკავშირებით, დამატებითი ინსტრუქციები წარმოდგენილია საქმის წარმოების დაწყების შესახებ სასამართლოს პრაქტიკის მითითებებში. წერილობითი მიმართვების შესახებ სასამართლოს პრაქტიკის მითითებები ვრცელდება ყველა სახის საჩივარზე. ამასთან, სასამართლოს მომზადებული აქვს სასარგებლო რეკომენდაციები საჩივრის წარდგენასთან დაკავშირებით.<sup>1</sup> ყველა შესაბამისი ველი უნდა შეავსოთ სასამართლო რეგლამენტის 47-ე მუხლში და სასამართლოს მიერ გამოქვეყნებულ სხვა სახელმძღვანელო პრინციპებში წარმოდგენილი ინსტრუქციების შესაბამისად. სასურველია, რომ საჩივარი წარმოდგენილი იყოს ნაბეჭდი ფორმით, თუმცა, ხელნაწერი საჩივარიც მიიღება. მინიმუმ, საქმის წარმოების საწყის ეტაპზე, შეგიძლიათ გამოიყენოთ რომელიმე ხელისშემკვრელი მხარის ერთ-ერთი ენა. 47-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა გამოიწვევს თქვენი საჩივრის რეგისტრაციაზე უარის თქმას ან მის უარყოფას.

საჩივრის ფორმით გათვალისწინებული ინფორმაციის მიზანია ფაქტობრივი გარემოებებისა და სავარაუდო დარღვევების შესახებ ამომწურავი და ამავდროულად, მკაფიო და ლაკონური ინფორმაციის მიწოდება და განმარტება იმისა, რომ საჩივარი აკმაყოფილებს დასაშვებობის კრიტერიუმებს. საჩივრის ფორმაში წარმოდგენილი უნდა იქნას

1. [https://www.echr.coe.int/Documents/Application\\_Notes\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Application_Notes_ENG.pdf)  
[https://www.echr.coe.int/Documents/Applicant\\_common\\_mistakes\\_ENG.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Applicant_common_mistakes_ENG.pdf)  
<https://www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=court/questionsanswers&c=>

საკმარისი ინფორმაცია, რათა სასამართლომ შეძლოს საჩივრის ბუნებისა და მასშტაბის განსაზღვრა და ამისათვის, სხვა მასალების შესწავლა არ დასჭირდება. არ გამოიყენოთ სიმბოლოები და აბრევიატურები.

თქვენი საჩივარი უნდა იყოს მაქსიმალურად მყარი, არგუმენტები არ შემოინახოთ სამართალწარმოების ბოლო ეტაპისთვის, მთავრობის არგუმენტების საპასუხოდ. წარმოადგინეთ ყველაზე მყარი პრეტენზიები და არ გაამახვილოთ ყურადღება არამყარ ან მეორადი მნიშვნელობის საკითხებზე, რომელმაც, შესაძლოა, ყურადღება გადაატანინოს სასამართლოს. მნიშვნელოვანია, რომ ფოკუსირება მოახდინოთ *prima facie* საქმის შექმნაზე, კონვენციით დაცული ერთი ან რამოდენიმე უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. დარწმუნდით, რომ შესრულებული საჩივრის ფორმით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, ქვეყნის შესაბამისი უჯრის (country box) მონიშვნის ჩათვლით. გაითვალისწინეთ, რომ სასამართლო არაერთ საქმეს უარყოფს წარმოების საწყის ეტაპზე, ამკარა დაუსაბუთებულობის გამო ან იმის გამო, რომ საჩივარი არასრულია.

## როგორ მოვამზადო ფაქტების სექცია (საჩივრის ფორმის E სექცია)?

ძირითადი ფაქტები უნდა წარმოადგინოთ ქრონოლოგიურად, მიუთითოთ დროები, თარიღები და ადგილები, თუ ეს საჭიროა. დარწმუნდით, რომ მითითებული გაქვთ დარღვევის შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები. „ფაქტების აღწერა“ არ უნდა შეიცავდეს დაუსაბუთებელ მტკიცებებს - ყველაფერი, რასაც თქვენ აღწერთ, უნდა ეყრდნობოდეს მტკიცებულებას, იქნება ეს მოწმის ახსნა-განმარტება, თუ მოვლენის შესახებ ადგილობრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, სამედიცინო მტკიცებულება და ა.შ. მოვლენის ან ინციდენტის აღწერის დროს, მოკლედ მიუთითეთ შესაბამის მტკიცებულებაზე (მაგ. H.P.-ის ახსნა-განმარტება X დანართში ან Human Rights Watch Report-ის ანგარიში X დანართში, გვ.10).

ფაქტობრივი გარემოებების აღწერა უნდა იყოს ობიექტური და ნეიტრალური და არ უნდა შეიცავდეს კომენტარებს ან სამართლებრივ არგუმენტებს. ამავდროულად, თუ ეს საჭიროა, ფაქტობრივი გარემოებების აღწერა უნდა შეიცავდეს მოკლე ინფორმაციას იმაზე, თუ რა გავლენა იქონია მოვლენამ მომჩივნის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, საცხოვრებელ პირობებზე, საარსებო საშუალებებზე, პერსპექტივებზე და სხვა ფაქტორებზე, რაც მტკიცებულებით დასტურდება (მომჩივნის ახსნა-განმარტება, სამედიცინო მტკიცებულება, ქონების დაზიანება და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ საქმე შეეხება სხვადასხვა სამართალწარმოებებს და სხვადასხვა ფაქტობრივ მოვლენებს, სასურველია, რომ თითოეული მათგანი ინდივიდუალურად იქნას განხილული. სცენარი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ინციდენტებს ან შევიწროებისა და დისკრიმინაციის ისტორიას, როგორცაა, მაგალითად, ოჯახში ძალადობა, შესაძლოა, წარმოდგენილი იქნას საკვანძო საკითხების ჩამონათვალის (bullet points) ფორმით, რომელშიც მითითებული იქნება შესაბამისი თარიღი, ადგილი და თითოეული მოვლენის მოკლე აღწერა.

არ გამოიყენოთ ვრცელი ციტატები, ინფორმაცია კონტექსტის შესახებ ან ფაქტები, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება თქვენს პრეტენზიებს. არაარსებითი მნიშვნელობის დეტალებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, მიუთითოთ დანართებზე ან ინფორმაცია დამატებითი გვერდების სახით წარმოადგინოთ. ეროვნული გადაწყვეტილებების დასაბუთება და მომჩივნის მიერ ეროვნული სასამართლოებისათვის წარდგენილი არგუმენტები მოკლედ შეაჯამეთ, რადგან აღნიშნული, შესაძლოა, დაგჭირდეთ დასაშვებობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების დასადასტურებლად ან სავარაუდო დარღვევების დასამტკიცებლად.

## როგორ უნდა მოვამზადო სავარაუდო დარღვევების შესახებ სექცია (სექცია F)?

ფაქტების შესახებ სექციის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ მკაფიო, მარტივი ენა. თითოეულ დარღვევასთან დაკავშირებით, თქვენი უნდა მოახდინოთ შესაბამისი სკაითხის იდენტიფიცირება, სამართლებრივი საფუძვლის ან პრინციპის განსაზღვრა, ამ პრინციპის გამოყენება ფაქტობრივი გარემოებების მიმართ და დასკვნის გაკეთება. გაითვალისწინეთ:

- არგუმენტები უნდა იყოს მაქსიმალურად მყარი, თუმცა, იმდენად, რამდენადაც ამას ადასტურებს შესაბამისი მტკიცებულება;
- არ გამოიყენოთ ემოციური ენა ან რადიკალური განცხადებები;
- დარწმუნდით, რომ თქვენი მტკიცებები არის ზუსტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეჭვქვეშ დააყენებთ თქვენი არგუმენტის საიმედოობას;
- მოახდინეთ პოტენციური სამართლებრივი დაბრკოლებების ან სისუსტეების იდენტიფიცირება და წარადგინეთ არგუმენტები მათი დაძლევის მიზნით;

- გამოყავით თქვენთვის უსარგებლო საქმეები, თუმცა, თქვენი საჩივრის სუსტ მხარეებს ზედმეტად არ გაუსვით ხაზი;
- თუ სასამართლოს იურისპრუდენციის განვითარებას ან განვრცობას სთხოვთ, შეეცადეთ, რომ მას შესაბამისი გზა აჩვენოთ - მაგალითად, მიუთითეთ მსგავს საქმეებთან ანალოგიაზე.

თითველი პრეტენზია უნდა მიუთითებდეს შესაბამის მუხლზე და შეიცავდეს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დაირღვა ეს მუხლი. პრეტენზია, ასევე, უნდა მიუთითებდეს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე და/ან სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე. არ მიუთითოთ კონვენციით გათვალისწინებული ერთი ან რამოდენიმე უფლების აბსტრაქტულ დარღვევებზე. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო იყენებს ტესტს მოცემულ მუხლთან შესაბამისობის დასადგენად, თქვენს არგუმენტებში ტესტის ყველა ელემენტი უნდა წარმოადგინოთ. მაგალითად, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის მიზნით, თქვენ უნდა განმარტოთ, თუ რა ქმედება წარმოადგენდა მომჩივნის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში ჩარევას და რატომ არის აღნიშნული კონვენციის დარღვევა, დებულებით განსაზღვრული ერთ ან მეტ საფუძველზე დაყრდნობით: არ არის კანონის შესაბამისი/არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს/არის არაპროპორციული. აღნიშნული მოკლედ უნდა მიუთითოთ თქვენს საჩივარში, ხოლო დეტალური არგუმენტები, შეგიძლიათ, დამატებით გვერდებზე წარმოადგინოთ. სასურველია, რომ მიუთითოთ სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც ეყრდნობით, იმ კონკრეტულ პუნქტზე, რომელიც თქვენი საქმისთვის რელევანტურია და განმარტოთ მისი რელევანტურობა.

## როგორ უნდა მოვამზადო დასაშვებობის შესახებ სექცია (სექცია G)?

ამ სექციაში, თქვენ თითველი ინდივიდუალურ პრეტენზიასთან დაკავშირებით უნდა დაადასტუროთ, რომ ამოწურეთ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებები (ე.ი. საშუალებები, რომელიც არის ხელმისაწვდომი, ეფექტური და საკმარისი - იხ. ქვემოთ), ხოლო თქვენი საჩივარი წარდგენილია ექვსთვიანი ვადის დაცვით. ამ მიზნით, თქვენ უნდა ჩამოთვალოთ ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები. თქვენ უნდა წარადგინოთ დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს რომ ყველა ბრალდება დააყენეთ ეროვნული სასამართლოს წინაშე, მათ შორის: ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, საჩივრები და მოსმენების წერილობითი ჩანაწერები. საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების თარიღი მკაფიოდ უნდა მიუთითოთ და წარადგინოთ სათანადო დოკუმენტური მტკიცებულება.

სასამართლო მოითხოვს თითველი გამოყენებული დაცვის საშუალების მოკლე აღწერას, მათ შორის, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასახელება და გადაწყვეტილების თარიღი და ბუნება. მაგალითად, რასობრივი ნიშნით განხორციელებული ბოროტად მოპყრობის შესახებ საჩივრის შემთხვევაში, აღნიშნული გამოიყურება შემდეგნაირად:

- საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ, მე-3 მუხლის საფუძველზე: პროკურატურის გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ, 05/11/2018; საოლქო სასამართლოს მიერ საჩივრის უარყოფა, 3/03/2019 (საქმე იო. 22/2019).
- საჩივარი დისკრიმინაციის შესახებ, მე-14 მუხლის საფუძველზე: საოლქოს სასამართლოს მიერ სარჩელის უარყოფა, 5/03/2019 (საქმე იო. 555/2019); საოლქო სასამართლოს მიერ საჩივრის უარყოფა, 10/09/2019; სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა, 10/02/2020.

არსებული დაცვის საშუალებების გამოუყენებლობის შემთხვევაში, თქვენ უნდა განმარტოთ, თუ რატომ მოიქეცით ასე. მაგალითად, შესაძლებელია განაცხადოთ, რომ თქვენ ვერ დაელოდებოდით ცალსახად არაეფექტური გამოძიების დასრულებას, უსაფუძვლო გაჭიანურებების გამო, იმის გამო, რომ ხელისუფლებამ უარი განაცხადა მსხვერპლთა ჩართვაზე ან სხვა აშკარა დარღვევების გამო. შესაბამისად, აღნიშნული სექცია უნდა შეიცავდეს მტკიცებულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულ დონეზე, შესაბამისმა ორგანოებმა იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული იმ ინციდენტების შესახებ, რომელიც მათი მხრიდან გამოძიებას მოითხოვდა, ან სხვა მტკიცებულებას, რომელიც დაადასტურებს ამ ორგანოების უმოქმედობას.

## როგორ დავამტკიცო ეროვნულ დონეზე არსებული დაცვის საშუალებების არაეფექტურობა ან ხელმიუწვდომლობა?

როგორც უკვე აღინიშნა, მომჩივნებმა საჩივარში უნდა დაადასტურონ, რომ მათ ამოწურეს ეროვნულ დონეზე არსებული დაცვის საშუალებები. შემდგომ, სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ მომჩივანს აღნიშნული საშუალებები არ ამოუწურია და ამ მიზნით, მან უნდა დაასახელოს ეროვნულ დონეზე არსებული დაცვის ის საშუალება, რომელიც მომჩივანს არ გამოუყენებია. სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს

აღნიშნული საშუალებების ეფექტურობას როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. ამის შემდგომ, მტკიცების ტვირთი გადადის მომჩივანზე, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ დაცვის საშუალება, რეალურად, ამოწურულია და იგი არ იყო ადექვატური ან ეფექტური, ან არსებობს განსაკუთრებული მიზეზები, რის გამოც ამ საშუალების გამოყენება არ მოხდა. მომჩივანს, როგორც წესი, მოეთხოვებათ ხელმისაწვდომი, ეფექტური და საკმარისი დაცვის საშუალებების ამოწურვა. მათ უნდა წარმოადგინონ შესაბამისი ფაქტები, მიუთითონ შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაზე, ან წარმოადგინონ მაგალითები იურისპრუდენციიდან, რომელიც ადასტურებს, რომ დაცვის კონკრეტული საშუალება გარკვეული მიზეზების გამო იყო არაეფექტური. ისეთ სიტუაციებში, სადაც მომჩივანი აცხადებს, რომ ეროვნულ დონეზე წარმოებული გამოძიება იყო არაეფექტური, მან უნდა განმარტოს, თუ რის საფუძველზე აცხადებს აღნიშნულს (ვადები, გარკვეული დონისძიებების განუხორციელებლობა და ა.შ.). მხოლოდ ეჭვები გამოძიების არაეფექტურობასთან დაკავშირებით მომჩივანს არ ანთავისუფლებს დაცვის საშუალების ამოწურვის მოვალეობისგან. მეორეს მხრივ, როდესაც მომჩივანმა გამოიყენა დაცვის საშუალება, რომელიც სასამართლომ მიიჩნია არასათანადოდ, არსებობს რისკი იმისა, რომ სასამართლო საქმეს დატოვებს განუხილველად, ექვსთვიანი ვადის დარღვევის გამო.

დაცვის ხელმისაწვდომი საშუალება ნიშნავს იმას, რომ მომჩივანს უნდა შეეძლოს საქმის უშუალოდ აღძვრა და იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული საჯარო ორგანოზე ან მოხელეზე. სხვა გარემოებები, რომელიც გავლენას ახდენს დაცვის საშუალების პრაქტიკულ ხელმისაწვდომობაზე მოიცავს სამართლებრივი დახმარების არ არსებობას ან იმ ინფორმაციის არ არსებობას სათანადო ფორმატში, რომელიც შესაბამის პირს საშუალებას მისცემს, გამოიყენოს დაცვის მოცემული საშუალება. დაცვის საშუალება ეფექტურად და საკმარისად მიიჩნევა, თუ იგი ითვალისწინებს კონვენციით დაცული და სავარაუდოდ დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობას. მაგალითად, მომჩივანი, რომელსაც შეაქვს სარჩელი საპატიმრო პირობებთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც იგი პატიმრობაში რჩება, როგორც წესი, საჭიროებს დაცვის პრევენციულ საშუალებას, ე.ი. საშუალებას, რომელიც სავარაუდოდ დარღვევას აღმოფხვრის. მეორეს მხრივ, თუ პირს საჩივარი შეაქვს პატიმრობის დასრულების შემდეგ, ამოწურული უნდა იქნას დაცვის საშუალება, რომელიც კომპენსაციას ითვალისწინებს და არის ხელმისაწვდომი და საკმარისი. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი ხელისშემკვრელი სახელმწიფოში დარჩენას ითხოვს იმის გამო, რომ დანიშნულების ქვეყანაში მას დევნის საფრთხე ემუქრება, დაცვის საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ მას აქვს სუსპენზიური ეფექტი.

სასამართლო ითვალისწინებს, რომ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, მომჩივანმა, შესაძლოა, ვერ უზრუნველყოს ეროვნულ დონეზე არსებული დაცვის საშუალებების ამოწურვა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანმა დაადასტურა ისეთი ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა, რომელიც შედეგადად კონვენციასთან არათავსებადი ქმედებების გამეორებისგან ან სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალური ტოლერანტობა, რომელიც სამართალწარმოებას უშედეგოს და არაეფექტურს ხდის.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით სასამართლოს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს დასაშვებობის კრიტერიუმების შესახებ.

## რა განსხვავებაა დანართებსა და დამატებით გვერდებს შორის?

### დანართები

ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც თქვენს პრეტენზიებს ასახულებს და ახდენს დასაშვებობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დემონსტრირებას, დანართის სახით უნდა იქნას წარმოდგენილი, მათ შორის: გადაწყვეტილებები, განჩინებები და საჩივრები, ისევე, როგორც ტრანსკრიპტები, მოწმეთა ახსნა-განმარტებები და სამედიცინო დასკვნები. თუ თქვენი საჩივარი შეეხება ოფიციალურ აქტს ან გადაწყვეტილებას, უნდა წარმოადგინოთ ამ აქტის ან გადაწყვეტილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება.

დანართების რაოდენობა არ არის შეზღუდული, თუმცა თქვენ მხოლოდ რელევანტური დოკუმენტები უნდა წარადგინოთ. დოკუმენტები უნდა დაალაგოთ თარიღის და პროცედურის მიხედვით, უნდა დანომროთ და არ დაასტუმბოთ, არამედ, აკინძოთ ან ზონარით შეკრათ. დასაშვებია გვერდების დამატება, თუ დოკუმენტების ჩამონათვალი გრძელდება და საჩივრის ფორმაში გათვალისწინებული ადგილი არ არის საკმარისი. დანართებისგან განსხვავდება დამატებითი გვერდები, რომელიც ქვემოთ არის განხილული.

შეადგინეთ დანართების ჩამონათვალი, ხოლო იმ არგუმენტებთან, რომელიც დანართებს ეყრდნობა, მიუთითეთ დანართის ნომერი, რაც შესაბამისი დანართის პოვნას გაადვილებს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი არგუმენტი ანგარიშზე მითითებას შეიცავს, სასურველია, რომ მიუთითოთ კონკრეტული გვერდი, რათა სასამართლომ მიაგნოს ანგარიშის შესაბამის ნაწილს.

თუ მომჩივანს არ აქვს შესაძლებლობა, წარმოადგინოს საჭირო დოკუმენტის ასლი, იგი ვალდებულია, აღნიშნულს მიზეზი სათანადოდ განმარტოს, ხოლო მისი განმარტება სათანადოდ მტკიცებულებით უნდა იქნას გამყარებული. მომჩივანმა შესაძლოა ვერ უზრუნველყოს დოკუმენტის ასლის წარდგენა თუ იგი, მაგალითად პატიმრობაში ან ვერ შეძლო ადვოკატის დაქირავება.



## დამატებითი გვერდები

დანართების მსგავსად, დამატებითი გვერდებიც თან ერთვის საჩივარს, თუმცა მათ განსხვავებული მიზანი აქვს. დამატებითი გვერდები სასამართლოს დამატებით ფაქტობრივ ან სამართლებრივ ინფორმაციას აწვდის, რომელიც თქვენი არგუმენტების მიმართ არის რელევანტური და საჩივრის ფორმაში არ დაეტია. ეს შესაძლოა, იყოს დარღვევის კონტექსტი (მაგალითად, უმცირესობების წარმომადგენელთა დევნის კონტექსტი, შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტი ან სამოქალაქო საზოგადოების შევიწროება) ან ფაქტობრივი თუ სამართლებრივი არგუმენტების განვითარება. ამავდროულად, საჩივრის ფორმა უნდა შეიცავდეს ცალკე მდგომ, *prima facie* საქმეს. დამატებითი გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს.

# IV. სხვა პრაქტიკული ინფორმაცია სამართალწარმოების საწყისი ეტაპის შესახებ

## როგორ მოვიქცე, თუ საქმეში რამოდენიმე მომჩივანია?

თუ საქმეში რამოდენიმე მომჩივანია, სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საჭიროა ცალკე ინდივიდუალური საჩივრების წარდგენა. თუმცა, მეორეს მხრივ, თუ ეს საქმეები ერთსა და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება, ერთი საჩივარი უნდა წარადგინოთ; თუმცა, პერსონალური ინფორმაცია თითოეული მომჩივნის შესახებ საჩივრის ფორმაში ცალკე უნდა იქნას წარმოდგენილი. თუ მომჩივნების რაოდენობა ხუთს აღემატება, შეავსეთ მომჩივანთა ცხრილი, რომლის ჩამოტვირთვაც შესაძლებელია სასამართლოს ვებ-გვერდიდან.

მომჩივნებმა თავიანთი მისამართი ცალ-ცალკე უნდა წარმოადგინონ. თუ მომჩივანი არის უსახლკარო ან არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი, მას შეუძლია, წარმოადგინოს მეგობრის საკონტაქტო მონაცემები და თან დაურთოს შესაბამისი განმარტება. თუ მომჩივანი იმყოფება პატიმრობაში ან სოციალური სახლის მაცხოვრებელია, მან პატიმრობის ადგილის/სოციალური სახლის მისამართი უნდა წარმოადგინოს.

## რა წესები ვრცელდება წარმომადგენლებზე?

საჩივრის წარდგენის საწყის ეტაპზე მომჩივანს არ მოეთხოვება, ადვოკატს მისცეს მითითებები. თუმცა, აღნიშნული, როგორც წესი, საჭიროა საქმის კომუნიკაციების შემდგომ. მომჩივნის წარმომადგენელ ადვოკატს უნდა ჰქონდეს ერთ-ერთ ხელისშემკვრელ სახელმწიფოში მუშაობისა და ცხოვრების უფლება, თუმცა, შესაბამისი პალატის პრეზიდენტს უფლება აქვს, გამოიწვიოს დაუშვას და, მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს მისცეს უფლება, დაიცვას მომჩივნის ინტერესები ლიცენზიის გარეშე ან მომჩივანს მისცეს საკუთარი ინტერესების დაცვის უფლება.

სასამართლოში მოქმედებს იურიდიული დახმარების სქემა. იურიდიული დახმარების მიღება შეუძლიათ ხელმოკლე მომჩივნებს, იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია საქმის სათანადოდ წარმართვის მიზნით, თუმცა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო საქმის შესახებ აცნობებს მოპასუხე მთავრობას. იურიდიული დახმარებით სარგებლობის შემთხვევაში, მომჩივანს მცირე თანხის გადახდა უწევს სასამართლოს წინაშე საქმისწარმოების თითოეული ეტაპისთვის.

მომჩივანს, რომელიც არის ქმედუწარმო ან აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, შესაძლოა სასამართლოს წინაშე წარმოადგენდეს პირი, რომელსაც იურიდიული მომხმადგენლობა არ გაუვლია. მაგალითად, აღნიშნული შემთხვევის ქვეშ ხვდება მშობლის მიერ ბავშვის ინტერესების დაცვა, მეურვის მიერ მისი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის ინტერესების დაცვა, არა-სამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყველადი პირის წარმომადგენლობა (ვიწროდ განსაზღვრულ შემთხვევებში), ან ზემოაღნიშნულ რომელიმე მდგომარეობაში მყოფი მომჩივნის ინტერესების დაცვა ნათესავების მიერ.

## ვინ უნდა მოაწეროს ხელი საჩივარს (საჩივრის ფორმის მე-13 გვერდი)?

უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ფორმას ხელს აწერს მომჩივანი და მისი წარმომადგენელი, რომელიც არ არის ადვოკატი. აღნიშნული ფორმა უნდა შეიცავდეს ორიგინალ ხელმოწერებს. ასლი არ მიიღება.



ადვოკატებმა ხელი უნდა მოაწერონ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ფორმას, რომელსაც საჩივარი შეიცავს. ისინი არ აგზავნიან უფლებამოსილების მინიჭების შესახებ ცალკე ფორმას, საჩივართან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი ადვოკატს მითითებებს აძლევს საჩივრის აღძვრის შემდგომ, ან თუ მომჩივნის მითითებები შეიცვალა, საჭიროა უფლებამოსილების მინიჭების ცალკე ფორმის წარდგენა იმ ფორმის გამოყენებით, რომელი ხელმისაწვდომია სასამართლოს ვებ-გვერდზე.

## როგორ მოვითხოვო საქმის დაჩქარებული წესით განხილვა, სასამართლო რეგლამენტის მე-40 მუხლის თანახმად ან საქმისათვის პრიორიტეტის მინიჭება, ამავე რეგლამენტის 41-ე მუხლის თანახმად?

მომჩივნებს უფლება აქვთ, საქმისწარმოების დაწყებისთანავე მოითხოვონ თავიანთი საქმის დაჩქარებული განხილვა. ამისათვის მომჩივანმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დასაბუთება, რომელიც ეყრდნობა სასამართლოს პრიორიტეტულობის პოლიტიკაში 41-ე მუხლის შესაბამისად იდენტიფიცირებულ კატეგორიებს და გადაუდებელ საქმეებში დაჩქარებული შეტყობინების შესაძლებლობას (მუხლი 40). სასამართლოს პრიორიტეტულობის პოლიტიკა აერთიანებს საქმეთა შვიდ კატეგორიას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სასამართლო მაღალი კატეგორიის საქმეებს (მაგალითად, საქმეები, რომელიც ბავშვის კეთილდღეობას უკავშირდება) განხილავს დაბალი კატეგორიის საქმეების განხილვამდე, პრაქტიკის მითითებების შესაბამისად. მომჩივანს შეუძლია, სასამართლოს მიმართოს აღნიშნული ერთ-ერთი ან ორივე მუხლის საფუძველზე, წერილობითი ფორმით, რომელიც სასამართლოს საჩივართან ერთად წარედგინება, ან მოგვიანებით, იმ შემთხვევაში, თუ საქმის დაჩქარებული წესით განხილვის საჭიროება წარმოიშვა შემდგომში.

## როგორ უნდა მოვითხოვო კონფიდენციალურობის დაცვა?

ნებისმიერ საჩივარში მომჩივნის ვინაობა უნდა იქნას მითითებული (მუხლი 35(2)(a)). წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივარი, შესაძლოა, დაუშვებლად იქნას მიჩნეული. როგორც წესი, სასამართლო უზრუნველყოფს საქმისწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობას. თუმცა, შესაბამისი პალატის პრეზიდენტს უფლება აქვს, დააკმაყოფილოს მოთხოვნა ანონიმურობის დაცვის თაობაზე, თუ ეს მოთხოვნა სათანადოდ არის დასაბუთებული და განმარტებულია, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მომჩივნის ვინაობის გასაჯაროებას (ამ შემთხვევაში, საჩივრის ფორმაში მომჩივნის პირადი მონაცემები მაინც უნდა იქნას შეტანილი). მოთხოვნის გაგზავნა შესაძლებელია საჩივართან ერთად, ან საქმისწარმოების შემდგომ ეტაპებზე. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით რეგლამენტის 47(4) მუხლს და პრაქტიკის მითითებებს ანონიმურობის დაცვის მოთხოვნების შესახებ. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმის მასალებში მომჩივნის აღსანიშნავად გამოყენებული იქნება მისი ინიციალები ან ასოები (მაგალითად, "X" ან "Y").

## როგორ უნდა გავაგზავნო საჩივარი?

საჩივრის გაგზავნა ხდება მხოლოდ ფოსტით. სასურველია, რომ საჩივარი გაიგზავნოს შეკვეთილი საფოსტო გზავნილის სახით.

## რა ხდება საჩივრის წარდგენის შემდგომ?

თქვენ უნდა დაიტოვოთ წარდგენილი საჩივრის ასლი, თანდართული დოკუმენტების ორიგინალებთან ერთად. საჩივარი უნდა გაგზავნოთ ეროვნულ დონეზე საქმისწარმოების ამოწურვისთანავე და ექვსთვიანი ვადის გასვლამდე. შესაძლოა, სასამართლომ გთხოვოს საჩივრის შევსება და ხელახლა გაგზავნა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ უკვე გასულია ექვსთვიანი პერიოდი.

თუ გაგზავნილი საჩივარი არის სრული, თქვენ სასამართლოსგან მიიღებთ დასტურის წერილს, რომელიც შეიცავს საქმის ნომერს და ბარკოდებს, რომელიც საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ კორესპონდენციაზე უნდა იქნას მიმაგრებული. გაითვალისწინეთ, რომ ამ კუთხით რაიმე მკაცრი ვადები არ მოქმედებს. შესაბამისად, დასტურის მიღებას, შესაძლოა, თვეებიც კი დასჭირდეს. ამ დროის მანძილზე თქვენ ვერაფერს იზამთ, გარდა იმისა, რომ დაელოდოთ, როდის დაგიკავშირდებათ სასამართლო.

# როგორ დავუკავშირდე სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ ჩემი საქმის შესახებ მაქვს კითხვა?

სასამართლოსთვის შესაძლებელია საქმის შესახებ კითხვების ან მოთხოვნების გაგზავნა, თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, სასამართლოსგან პასუხი ვერ მიიღოთ. სასამართლო დიდი ოდენობით საქმეებზე მუშაობს და მომჩივნებთან კომუნიკაცია მინიმუმამდე არის შეზღუდული.

სასამართლო თქვენ დაგიკავშირდებათ, თუ მას ესაჭიროება დამატებითი ინფორმაციის მიღება, ან თუ მას სურს შეგატყობინოთ ინფორმაცია ან მოგაწოდოთ ინსტრუქციები საქმისწარმოების თითოეულ ნაბიჯთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მოთხოვნებს უპასუხოთ განსაზღვრულ ვადებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ჩათვლის, რომ მომჩივანი აღარ არის დაინტერესებული საჩივრისათვის შემდგომი მსვლელობის მიცემით. შედეგად, სასამართლო თქვენს საქმეს არ განიხილავს და მასალებს გაანადგურებს.

# შესაძლებელია მოვითხოვო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გადაწევა?

საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს 6 თვის ვადაში. ნებისმიერი საჩივარი, რომელიც ამ ვადის დარღვევით იქნება წარდგენილი, დაუშვებლად გამოცხადდება (კონვენციის 35(1) მუხლი). ამავდროულად, საქმისწარმოების მომდევნო ეტაპზე, მას შემდეგ, რაც მოხდება საქმის კომუნიცირება, შესაძლებელია, რომ სასამართლოს მიმართოთ მხარეებისათვის დადგენილი ვადების გადაწევის თხოვნით. ვადების გადაწევის შესახებ ნებისმიერი თხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული. ეს დასაბუთება, შესაძლოა, ითვალისწინებდეს შემდეგ მიზეზებს: მომჩივანთან ან მომჩივნებთან კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეები; საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების მოცულობა (რომელიც მთავრობამ წარმოადგინა); საქმის სპეციფიკური სირთულე; კონკრეტული მტკიცებულების მოპოვების საჭიროება, რომელიც მზა ფორმით არ არის ხელმისაწვდომი; ან დოკუმენტების თარგმნის საჭიროება. მოთხოვნაში მომჩივანმა უნდა დააკონკრეტოს, თუ რა დროით სურს ვადის გადაწევა და ეს დრო უნდა იყოს გონივრული. მომჩივნის სასარგებლოდ იმოქმედებს, თუ მთავრობამაც მოითხოვა ვადის გადაწევა. სასამართლო შეაფასებს მოთხოვნას და მიიღებს გადაწყვეტილებას დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების თაობაზე.

# რას გულისხმობს ხელისშემკვრელი მხარის მოვალეობა, არ დააბრკოლოს ინდივიდუალური საჩივრის უფლება?

34-ე მუხლის თანახმად, ხელისშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან, არ დააბრკოლონ ინდივიდუალური საჩივრის უფლება და არ ჩაერიონ სასამართლოში საჩივრის წარდგენის და ეფექტურად წარმოების უფლებაში. აღნიშნული დებულება მოიცავს მომჩივნებისა და მათი იურიდიული წარმომადგენლების პირდაპირ იძულებას და ზეწოლას, ისევე, როგორც არასათანადო ირიბ ქმედებებს ან კონტაქტებს, რომელიც სასამართლოს საქმის განხილვაში შეუშლის ხელს. მაგალითად, 34-ე მუხლის დარღვევა დადგინდა ერთ-ერთ საქმეში, სადაც მთავრობამ იმ ადვოკატის ოფისიდან, რომელიც მომჩივანს წარმოადგენდა, საქმის მთლიანი მასალები ამოიღო.

ამ შემთხვევაში, ასევე, რელევანტურია კონვენციის 38(1)(a) მუხლი, რომლის თანახმადაც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყოთ ყველა აუცილებელი საშუალება ქმედითი გამოძიების წარმართვისთვის. სასამართლო აღნიშნულ დებულებას ეყრდნობა, როდესაც ითხოვს საქმისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტებზე წვდომას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მხოლოდ მთავრობა ფლობს ასეთ ინფორმაციას. თანამშრომლობაზე უარის თქმა გამოიწვევს 38(1)(a) მუხლის დარღვევას და, ამავდროულად, საჩივრის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით, სასამართლო გააკეთებს დასკვნებს მომჩივნის სასარგებლოდ.

# როდის და რის შესახებ უნდა მივანოდო სასამართლოს განახლებული ინფორმაცია?

საჩივრის წარდგენის შემდეგ, სასამართლოს უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია ნებისმიერი იმ მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ, რომელიც მომჩივნის მდგომარეობაში განხორციელდა, თუ ამ ცვლილებებს გავლენა აქვს საქმეზე (მაგალითად, თუ მომჩივანი საქმეს გამოეთიშა, ან თუ მომჩივანმა მისამართი შეიცვალა). თუ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულებამდე გარდაიცვლება მომჩივანი, როგორც წესი, მის ნათესავს უფლება აქვს, გააგრძელოს საქმის წარმოება, თუ მას ლეგიტიმური ინტერესი გააჩნია (მაგალითად, გარდაცვლილთან საკმარისად ახლო ნათესაური კავშირი აკავშირებს) ან თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საქმე ზოგადი მნიშვნელობისაა. სასამართლოს

უნდა მიეწოდოს განახლებული ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განვითარებების შესახებ, როგორცაა, მაგალითად, მომჩივნისთვის კომპენსაციის გადახდა, ან ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული ან სხვა გადაწყვეტილებები ან დაცვის საშუალებებთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებები, რომელმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს საქმის განხილვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ინფორმაციის არ მიწოდებას ბოროტი განზრახვის მიმანიშნებლად მიიღებს, რასაც თქვენს საქმეზე უარყოფითი გავლენა ექნება.

## როგორ მოვითხოვო სამართლიანი დაკმაყოფილება?

სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნის წარდგენა, როგორც წესი, უნდა მოხდეს იმ ვადებში, რომელიც დადგენილია მომჩივნის მიერ საქმის არსებითი მხარის შესახებ არგუმენტების წარსადგენად. სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება ხდება მატერიალური ზიანის, არამატერიალური ზიანის, ხარჯების და დანახარჯების ასანაზღაურებლად. მატერიალური ან არა-მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით კომპენსაციის მინიჭება ხდება კონვენციის დარღვევასა და განცდილ დანაკარგს შორის მკაფიო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის საფუძველზე. საჭიროა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნების პუნქტობრივად ჩამოთვლა და მათი წარდგენა თანხმდებ დოკუმენტებთან ერთად. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, სასამართლომ მომჩივანს მიაანიჭოს მოთხოვნილზე ნაკლები თანხა. თუ მომჩივანი ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას, რაც გამოწვეულია მისი კონტროლის მიღმა არსებული გარემოებით, სასამართლო აღნიშნულს მხედველობაში მიიღებს არამატერიალური ზიანის კომპენსაციის მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღებისას. მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად მინიჭებული კომპენსაცია, შესაძლოა, მოიცავდეს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლისთვის (წარსული და მომავალი); საარსებო წყაროს დაკარგვისთვის; დაკისრებული ჯარიმებისა და გადასახადებისთვის; გამოცემული საკონფისკაციო ორდერისთვის; ანაზღაურებული ზიანისთვის; სამედიცინო ხარჯებისთვის; ან სასამართლოს მომსახურებისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟისთვის. არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, საკომპენსაციო თანხა, შესაძლოა, ასახავდეს განცდილ ტკივილს და ტანჯვას; ნორმალური ცხოვრების წესის დარღვევას; შერცხვენას; ფრუსტრაციას; დისკომფორტს ან შესაძლებლობის დაკარგვას ჩადენილი დარღვევის შედეგად. მომჩივნებს შეუძლიათ, წარადგინონ განცხადება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას განცდილი ზიანის შესახებ, თუმცა, მიყენებული არამატერიალური ზიანის პირდაპირი მტკიცებულება, როგორც ასეთი, არ არის საჭირო. მსგავს საქმეებში მინიჭებული კომპენსაციის რაოდენობა მნიშვნელოვანი ინდიკატორია მოცემულ საქმეში მომჩივნის მიერ განცდილი ზიანის შესაფასებლად.

გაწეული ხარჯების ან დანახარჯების ასანაზღაურებლად მინიჭებული კომპენსაცია, შესაძლოა, მოიცავდეს იურიდიული დახმარების ხარჯებს და ისეთ სამართლებრივ ხარჯებს, როგორცაა სასამართლოს მომსახურებისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: ხარჯი რეალურად არის გაწეული; ხარჯი აუცილებელი იყო დარღვევის საპრევენციოდ ან დაცვის საშუალების მოსაპოვებლად; ხარჯის რაოდენობა არის გონივრული. ნებისმიერი მოთხოვნა გამყარებული უნდა იქნას სათანადო დოკუმენტური მტკიცებულებით. თუმცა, სასამართლომ, შესაძლოა, მომჩივანს მოთხოვნილზე ნაკლები ოდენობის კომპენსაცია მიაანიჭოს, ვინაიდან სასამართლო ეროვნულ დონეზე მოქმედი საგადასახადო/საბაჟო შკალით არ არის შეზღუდული. რეკომენდებულია, რომ ადვოკატებმა სასამართლოს წარუდგინონ დეტალური ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ასახავს შესრულებულ დავალებებს, ნამუშევარ საათებს, საათობრივ ტარიფებსა და სხვა დანახარჯებს. ხარჯთაღრიცხვას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ინვოისები და სხვა მტკიცებულება. მომჩივანმა უნდა დაადასტუროს, რომ მას გადახდილი აქვს ადვოკატის მომსახურების ფასი, ან სამართლებრივად ეკისრება აღნიშნული თანხის გადახდის მოვალეობა. თუ ადვოკატი მომჩივანს უფასოდ მოემსახურა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხარჯი არ არის გაწეული. შესაბამისად, მომჩივანი ვერ შეძლებს, მოითხოვოს გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

დეტალური ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით სასამართლოს პრაქტიკის მითითებებს სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნის შესახებ.

## V. როგორ ხდება საჩივრის წარმოება?

### როგორ ხდება საქმეების განაწილება სასამართლოს სხვადასხვა ფორმაციებს შორის?

საქმე დარეგისტრირების შემდეგ გადაეცემა სასამართლოს ერთ-ერთ ფორმაციას: ერთი მოსამართლის ფორმაცია, სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტი, შვიდი მოსამართლისგან შემდგარი პალატა.

ერთი მოსამართლე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას აშკარად დაუშვებელ საქმეებთან დაკავშირებით ან საქმის


განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვასთან დაკავშირებით. ასეთი გადაწყვეტილებები მიიღება მოპასუხე საქმის შესახებ მთავრობისთვის შეტყობინების (კომუნიცირების) გარეშე და საბოლოო. დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილებაში მოკლედ არის განმარტებული საქმის დაუშვებლად მიჩნევის მიზეზები.

კომიტეტი უფლებამოსილია, საქმე დაუშვებლად გამოაცხადოს ან ამორიცხოს განსახილველ საქმეთა სიიდან, საქმის შესახებ მოპასუხე მთავრობისთვის შეტყობინების გარეშე ან შეტყობინების შემდეგ. თუ გადაწყვეტილების მიღება მოხდა შეტყობინებამდე, მომჩივანი მიიღებს ლაკონურად დასაბუთებულ წერილს საქმის დაუშვებლად გამოცხადების თაობაზე. კომიტეტი, ასევე, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება დასაშვებობისა და საქმის არსებითი გარემოებების შესახებ, თუ მთავარი საკითხი, რომელიც შეეხება კონვენციის ინტერპრეტაციას ან გამოყენებას, ექვემდებარება მყარად დადგენილ პრეცედენტულ სამართალს (well-established case law - 'WECL'). აღნიშნული პროცედურის მიზანია განმეორებადი საჩივრების განხილვის დაჩქარება.

პალატა უფლებამოსილია, მიიღოს განჩინება საქმის დაუშვებლად გამოცხადების ან განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ, ან მხარეებისათვის კომუნიცირების შემდგომ, საქმის არსებითი გარემოებების შესახებ.

განჩინება საქმის დაუშვებლობის შესახებ არის საბოლოო საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში. თუმცა, იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლომ, შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება დაუშვებლად მიჩნეული საქმის ხელახლა გახსნის თაობაზე და იგი განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღადგინოს, თუ ეს გამოწვეულია სასამართლოს ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომით. აღნიშნულის ერთ-ერთი მაგალითია შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილების თარიღთან დაკავშირებით, საჩივრის წარსადგენად დადგენილი ექვსთვიანი ვადის კონტექსტში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოების პროცესს.



## რა ხდება მოპასუხე მთავრობისთვის საქმის კომუნიცირების შემდგომ?

კომუნიკაცია არის საჩივრის შესახებ შეტყობინება, რომელიც მთავრობას ეგზავნება. კომუნიკაცია შედგება ფაქტობრივი გარემოებებისგან, რომელსაც სასამართლოს რეგისტრატურა ამზადებს და კითხვებისგან, რომელთა ადრესატსაც წარმოადგენენ მხარეები. კომუნიკაციაში კონკრეტულ სამართლებრივ საკითხებზეა ყურადღება



გამახვილებული, რომელიც მხარეთა პასუხებს მოითხოვს. კომუნიციების შემდგომი სტანდარტული პროცედურა შედგება ორი თანმიმდევრული ეტაპისგან. პირველი, უდავო ეტაპის ფარგლებში, მხარეები განიხილავენ მორიგების შესაძლებლობას. მეორე, სადავო ეტაპის ფარგლებში მხარეებს მოეთხოვებათ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიცია საქმის დასაშვებობასთან და არსებით მხარეებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც სამართლიანი დაკმაყოფილებისა და ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ.

ზოგიერთი საქმის შემთხვევაში, გამარტივებული პროცედურა გამოიყენება. საკომიტეტო საქმეებში, რომელიც მყარად დადგენილ პროცედურულ სამართალს მოიცავს, სასამართლოს უფლება აქვს, გვერდი აუაროს აღნიშნულ პროცედურებს, დაჩქარებული მორიგების მიღწევის მიზნით. ასევე, შესაძლებელია, რომ სასამართლომ საქმის კომუნიციება მოახდინოს გამარტივებული ფორმატით, ან მხარეებს მოსთხოვოს ლაკონური და ვიწრო არგუმენტების წარმოდგენა, მკაცრი ვადების დაცვით.

მიუხედავად გამოყენებული პროცედურისა, სასამართლო მხარეებს უგზავნის დეტალურ ინსტრუქციებს, რომელიც ზედმიწევნით უნდა შესრულდეს. მაგალითად, სასამართლო უზრუნველყოფს დეტალურ ინსტრუქციებს როგორც ჩვეულებრივი, ისე გამარტივებული კომუნიკაციის შემდგომ მომჩივნის მიერ არგუმენტების წარდგენასთან დაკავშირებით და სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნებთან დაკავშირებით.

## რა შემთხვევაში შეიძლება ვთქვა უარი, დავთანხმდე ან შევთავაზო მეგობრული მორიგება?

მხარეებმა, შესაძლოა, მიაღწიონ შეთანხმებას და საქმე დაასრულონ მეგობრული მორიგებით, რაც საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება მოხდეს. სასამართლომ ცოტა ხნის წინ შემოიღო სავალდებულო თორმეტკვირიანი არა-სადავო ეტაპი, საქმის კომუნიციების შემდგომ. სასამართლო აქტიურად უწყობს ხელს მოლაპარაკებებს და იგი განიხილავს კიდევ საჩივრის ამორიცხვის შესაძლებლობას, კონვენციის 37(1) მუხლის შესაბამისად, თუ ჩათვლის, რომ მომჩივნის მიერ მეგობრული მორიგების უარყოფა „არაკონივრული“ იყო. მეგობრული მორიგება წარმოადგენს საქმის გადაწყვეტის ერთ-ერთ შესაძლო გზას, თუმცა სასამართლო რუტინულად ახდენს იმ საქმეების იდენტიფიცირებას, რომელშიც იგი თვლის, რომ მეგობრული მორიგება არის მიზანშეწონილი და მხარეებს პოტენციურ პირობებს სთავაზობს, თუმცა მომჩივანი არ არის ვალდებული, რომ სასამართლოს მიერ ინიცირებულ მორიგებას დასთანხმდეს. მოლაპარაკებები კონფიდენციალურია და იგი არ ახდენს რაიმე უარყოფით გავლენას სადავო ეტაპზე მომჩივნის მიერ წარდგენილ არგუმენტებზე და მასზე მითითება არ უნდა მოხდეს შემდგომ წარდგენილ პოზიციებში.

ამ ეტაპზე ადვოკატებმა უნდა გაითვალისწინონ მათი კლიენტების ინტერესები. თუ ფულადი კომპენსაცია საკმარისია დარღვეული უფლების აღსადგენად, მეგობრული მორიგება, შესაძლოა, წარმოადგენდეს საქმის დასრულების სწრაფ და ეფექტურ გზას, თუ მთავრობა მზად არის დააკმაყოფილოს მომჩივნის მოთხოვნები. ამავდროულად, მორიგების შესახებ მოლაპარაკებები ქმნის შესაძლებლობას, განხილული იქნას არა მხოლოდ ფულადი კომპენსაციის საკითხი, არამედ, ასევე, დარღვეული უფლების აღდგენის ისეთი საშუალებები, როგორცაა კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა, ნატურით რესტიტუცია კონკრეტულ ვადებში ან ბოროტად მოპყრობის გამოძიება. მთავრობა, შესაძლოა, მზად იყოს, გადაიხადოს მაღალი კომპენსაცია და აიღოს კონკრეტული ვალდებულებები, რათა, სანაცვლოდ, არ მოხდეს საქმის არსებითი მხარის განხილვა. თუმცა, ზოგიერთი მომჩივნისათვის დარღვეული უფლების აღდგენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს საქმეზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, რაც საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიიღწევა. ასეთ შემთხვევაში, მეგობრული მორიგება გამოიცხადებულია. ადვოკატებმა და მომჩივნებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მეგობრული მორიგება, რომელიც ითვალისწინებს ფინანსურ კომპენსაციას დარღვევის აღიარების გარეშე, წარმოადგენს *ex gratia* თანხას, რა შემთხვევაშიც არ ხდება გადახდილ თანხასა და განცდილ ზიანს ან ზიანის გამომწვევ ქმედებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღიარება. მინისტრთა კომიტეტის მიერ ასეთი შეთანხმების იმპლემენტაციის ზედამხედველობა შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ.

დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ EHRAC-ის [სახელმძღვანელო მეგობრული მორიგებებისა და ცალმხრივი დეკლარაციების შესახებ](#).

## შესაძლებელია, რომ სასამართლო მოახდინოს გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომის გასწორება?

დიდი პალატის ან პალატის საბოლოო გადაწყვეტილებები გადახედვას ექვემდებარება სამ შემთხვევაში: ინტერპრეტაციის მოთხოვნა (სასამართლო რეგლამენტის 79-ე მუხლი), გადასინჯვის მოთხოვნა (მუხლი 80) ან შეცდომის გასწორების მოთხოვნა (მუხლი 81). 81-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, თავისივე ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით, რომელიც წარდგენილია გადაწყვეტილების ან განაჩენის გამოტანიდან ერთი თვის ვადაში, გამოასწოროს კანცელარიის მიერ დაშვებული შეცდომები, გამოთვლისას დაშვებული ან აშკარა შეცდომები. 79-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია მოითხოვოს განაჩენის განმარტება მისი გამოტანიდან 1 წლის განმავლობაში. ასეთი მოთხოვნები იშვიათია და შეეხება კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებულ საკითხებს.

## რა შემთხვევაში შეიძლება მოვითხოვო საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა?

კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად, პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა. აღნიშნული არ ნიშნავს გასაჩივრების უფლებას, როგორც ასეთი, არამედ ხელახლა მოსმენის მოთხოვნის უფლებას, რომლის დაკმაყოფილებაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება. მხარე, რომელიც საქმის დიდი პალატისთვის გადაცემას ითხოვს, უნდა დაასაბუთოს აღნიშნული მოთხოვნა. დიდი პალატის კოლეგია ხუთი მოსამართლის შემადგენლობით დაეთანხმება ამ მოთხოვნას, თუ (1) საქმე წამოჭრის კონვენციის ან მისი ოქმების განმარტების ან გამოყენებისთვის სერიოზულ საკითხს (მაგალითად, თუ განაპირობებს ეროვნულ კანონმდებლობაში ან პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილების განხორციელების აუცილებლობას); ან (2) საერთო მნიშვნელობის სხვა სერიოზულ საკითხს (მაგალითად, პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხი). კოლეგიის გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული. დიდი პალატა არ განიხილავს პალატის მიერ დადგენილ ფაქტებს ან დაუშვებლობის შესახებ განჩინებებს, და გადაწყვეტილებებს, რომელიც შეეხება მტკიცედ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს.

## როგორ მოვამზადო და წარვადგინო ზეპირი არგუმენტები?

გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლომ, შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის და/ან არსებითი მხარის შესახებ მოსმენის გამართვასთან დაკავშირებით. ასეთ დროს, სასამართლოს რეგისტრატურა მხარეებს უგზავნის წერილს, რომელშიც წარმოდგენილია მოსმენაზე განსახილველი კითხვები. მოსმენის ხანგრძლივობას წინასწარ განსაზღვრავს პრეზიდენტი, მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე, ხოლო მოსამართლეებს უფლება აქვთ, დასვან კითხვები. მომჩივანს და მთავრობას, როგორც წესი, 30 წუთი აქვს ზეპირი არგუმენტების წარსადგენად, ხოლო დამატებით 10 წუთი სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად. კითხვების დასმის შემდეგ, გათვალისწინებულია შესვენება. მოსმენის საერთო ხანგრძლივობა, როგორც წესი, 2 საათს არ აჭარბებს. ადვოკატებს, თუ სურვილი აქვთ, შეუძლიათ ჩაიცვან მანტია, თუმცა ეს არ არის სავალდებულო. მოსმენა ტარდება სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, თუმცა, პრეზიდენტს უფლება აქვს, ევროპის საბჭოს რომელიმე სხვა ენის გამოყენების ნება დართოს. ადვოკატებმა უნდა ისაუბრონ მკაფიოდ, მათ არ უნდა ისაუბრონ სწრაფად. ფაქტობრივი გარემოებებისა და საჩივარში წარმოდგენილი თითოეული პუნქტის გამეორების ნაცვლად, მათ ფოკუსირება უნდა მოახდინონ განსახილველი საქმის ძირითად საკითხებზე. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ზეპირი მოსმენის მიზანია, მხარეებმა წარადგინონ არგუმენტები იმ არგუმენტებზე დამატებით, რომელიც წერილობითი ფორმით უკვე წარადგინეს. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ მოსამართლეები კარგად იცნობენ საქმის მასალებს.



## **EHRAC** European Human Rights Advocacy Centre

მიდლსექსის უნივერსიტეტი  
ბეროუზ ჰენდონი  
NW4 4BT  
ტელ: +44 208 411 2826

EHRAC დაარსებულია მიდლსექსის  
უნივერსიტეტში. უნივერსიტეტი  
გათავისუფლებული საქველმოქმედო  
ორგანიზაციაა 1960 წლის საქველმოქმედო  
აქტის შესაბამისად.

ეს უბლიკაცია მომზადდა მატრიქსული ალატები  
მიერ. ს ამის შინაარსი გამოქვე ნება მ ოლოდ  
EHRAC- ს ეკისრება და არავითარ შემთ ვევაში  
არ შეი ლება იქნას ა ებული მოსაზრებები  
მატრიქსული ალატები.

**matrix**  
chambers